


ნ. ბოლაშვილი, ზ. გულაშვილი, ნ. სუქნიძე, მ. ტატიშვილი, თ. ჭიჭინაძე
N. Bolashvili, Z. Gulashvili, N. Suknidze, M. Tatishvili, T. Chichinadze

ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე
კლიმატის ელემენტების მონაცემთა ბაზების შედგენა და
კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული რისკების
შეფასება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით

Creation of Databases of Climate Elements in the Occupied Territories of the Tskhinvali Region and Assessment of Risks Caused by Climate Change Using Modern Methods



ნ. ბოლაშვილი, ზ. გულაშვილი, ნ. სუქნიძე,
მ. ტატიშვილი, თ. ჭიჭინაძე

ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ
ტერიტორიებზე კლიმატის ელემენტების
მონაცემთა ბაზების შედგენა და კლიმატის
ცვლილებისგან გამოწვეული რისკების
შეფასება თანამედროვე მეთოდების
გამოყენებით

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი #OTG-I-24-456 – „ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კლიმატის ელემენტების მონაცემთა ბაზების შედგენა და კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული რისკების შეფასება თანამედროვე მე-თოდების გამოყენებით“.

რედაქტორი:

გეოგრ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ლიანა ქართველიშვილი

რევიზიონი:

ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. ავთანდილ ამირანაშვილი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი:

ნატალია გაგრიძე



მონოგრაფია დაიმუშავდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის #OTG-I-24-456]

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....	7
თავი 2. კლიმატი.....	9
თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია.....	14
3.1. მეთოდოლოგიის მოკლე დახასიათება.....	14
3.2. კლიმატური ინდექსები	16
3.3. გამოყენებული მონაცემები	17
3.4. მონაცემების ვალიდაცია	18
თავი 4. საკვლევ ტერიტორიაზე კლიმატის ელემენტების მრავალწლიური ცვლილების ტენდენციები	23
4.1. ჰაერის ატმოსფერული ტემპერატურის მრავალწლიური ცვლილება	23
4.2. სითბური ტალღები	48
4.3. ცხელი დღეები.....	50
4.4. ტროპიკული ღამეები	52
4.5. წაყინვების და ყინვიანი დღეების მრავალწლიური ცვლილების ტენდენციები	55
4.6. ტემპერატურის კლიმატური ინდექსები	66
თავი 5. საკვლევ ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ცვლილების ტენდენციები	69
5.1. ნალექების ცვლილება	69
5.2. ნალექების კლიმატური ინდექსები	88
დასკვნა	92
ლიტერატურა.....	93
დანართი 1	187
დანართი 2	188

შესავალი

გასული საუკუნის 90-წი წლებიდან კლიმატის ცვლილება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის თვალსაჩინო გახდა: მყინვარების დწობა, ზღვის დონის მატება, რეკორდული სიცხეები, ძლიერი გვალვები, ტყის ხანძრები, მასშტაბური დატბორვები, მეწყრები და სხვა მსგავსი მოვლენები ბოლო წლებში საკმაოდ გამოიწვია.

კლიმატის ცვლილების პროცესი საქართველოშიც მნიშვნელოვნადაა გააქტიურებული. 1956-1985 წლებთან შედარებით ქვეყნის ტერიტორიაზე მარის საშუალო წლიური ტემპერატურა $0.25-0.58^{\circ}\text{C}$ ფარგლებში თითქმის ყველგან მომატებულია. რაც შეეხება წალექებს, დასავლეთ საქართველოში მისი წლიური რაოდენობა, ძირითადად, გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაოდენობი – შემცირებული.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი ვლინდება – მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების მასშტაბები და რაოდენობრივი მაჩვენებლები. ინტენსიურად დწება მყინვარები, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული სითბური ტალღები ადამიანის ჯანმრთელობაზე ცუდ გავლენას ახდენს და სამწუხაროდ, მომავალში კლიმატის ცვლილების წევატიური ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე თემების მოწყვლადობას შეამცირებს. ამისათვის აუცილებელია სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და განხორციელება. „გაეროს“ 2002 წლის იოვანესბურგის მსოფლიო სამიტისათვის მომზადებულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სტიქით გამოწვეული უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავია იქ, სადაც ქვეყნის პოლიტიკოსები იგნორირებას უკეთებენ მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ პროგნოზებს.

საქართველოს მეტეოროლოგიური დაკვირვებებისა და კლიმატური კვლევების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ამან შესაძლებლობა მისცა ჩვენს მკვლევარებს შეეფასებინათ კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები ჩვენი ქვეყნის რთული გოგორაფიული პირობების გათვალისწინებით, განხსაზღვრათ მოწყვლადობის დონე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისათვის და ბუნებრივი ეკოსისტემებისათვის, შეემუშავებინათ ადაპტაციის შესაბამისი სტრატეგია, სამწუხაროდ, საქართველოში გასული საუკუნის 90-წი წლებიდან პიდირომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი თითქმის მთლიანად შორიშალა. მართალია, უკანასკნელ პერიოდში დაიწყო მეტეოროლოგიური სადგურების აღდგენის ტენდენცია, მაგრამ 1990-ან წლებამდე არსებულს ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის განუყოფელ წარმოს. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ბაზის შექმნისათვის აუცილებელია შეიქმნას ამ ტერიტორიებისთვის მეტეოროლოგიური ელემენტების მონაცემთა ბაზა.

ცხინვალის რეგიონისთვის კლიმატური პარამეტრების და ინდექსების დადგენა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს მეტეოროლოგიური დაკვირვებები და ეს დანაკლისი უნდა შეივსოს, რათა სრულად შეფასდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილება.


წინამდებარე ნაშრომის კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ცხინვალის რეგიონისთვის პირველად მოხდა მეტეოროლოგიური ელემენტების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) მონაცემთა ბაზის შექმნა და ამ ბაზის საჯაროობის ხელშეწყობა; შეფასდა კლიმატის ცვლილება.

კვლევის შედეგები იწოვაციურია, ვინაიდან ის ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეალური მდგომარეობის მოდელირებისა და ანალიზის საშუალებას მოგვცემს, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მთლიანად ქვეყნისათვის. პროექტის შედეგებით შესაძლებელი იქნება: შეფასდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების ტრენდი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ შეიქმნას „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემა“; რაც ხელს შეუწყობს კლიმატური რისკების შემცირებას, პრევენციასა და მზადყოფნას. კვლევის შედეგები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო კლიმატის ცვლილების გავლენის შესაფასებლად ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მოწყვლად სექტორებზე, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ჯანდაცვა, ენერგეტიკა და სხვ., არამედ საგანგებო სიტუაციებში კორდინაციისათვის და სხვა, გაშისაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ წებისმიერ დროს შესაძლებელი იქნება ამ ინფორმაციის განახლება და ცვლილებების შეტანა უკვე არსებულ შექმნილ გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაში.

თავი 1. საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორია წარმოადგენს ყოფილ საქართველოს სსრ-ის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ თლექს (1922-1990 წწ.). რეგიონს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), აღმოსავლეთით – ყაზბეგისა და დუშეთის, სამხრეთით – კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები, დასავლეთით – საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტები. რეგიონში იყო 4 ადმინისტრაციული რაიონი: ცხინვალის, ზნაურის, ახალგორის (ლენინგორის) და ჯავის; ერთი ქალაქი – რეგიონის ცენტრი ქ. ცხინვალი (ყოფილი ქ. სტალინირი 1936-1961 წწ.) და ოთხი დაბა: ზნაური, კვაისა, ახალგორი და ჯავა.

რეგიონის ჩრდილოეთი შედარებით მაღალმთიანი, ხოლო სამხრეთი – საშუალო სიმაღლის რელიეფით გამოიჩინევა (სურ. 1.), რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ლ. მარუაშვილის წარმმის [3].



თავი 2. კლიმატი

რეგიონის კლიმატის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაღალმთიანი რელიეფი, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი იცავს მას ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან. კლიმატის ელემენტები ემორჩილება ვერტიკალურ ზონალურობას, რაც სიმაღლის მატებასთან ერთად ჰაერის ტემპერატურის კლებით, ატმოსფერული წალექების, თოვლის საფარის სიმაღლისა და ხანგრძლივობის ცვლილებით გამოიხატება. აქ 1000 მ სიმაღლემდე უფრო თბილი ჰაერა, ვიდრე შიდა ქართლის ვაკეზე, საშუალო წლიური ტემპერატურა 7,8-9,6°C-ია [4].


ქ. ცხინვალი მდებარეობს ზღვის დონიდან 860 მ სიმაღლეზე, მდ. დიდი ლიახვის ხეობაში, ტირიფონ-საგურამოს ვაკეზე, მ. კორძახის [2] მიხედვით, იანვრის საშ. ტემპერატურა ცხინვალში 1°C -ით დაბალია სოფ. მუხრანის (მცხეთის მუნიციპალიტეტი, 550 მ) ტემპერატურაზე. ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი $0,3^{\circ}$ -ს შეადგენს. ცხინვალის იანვრის საშ. ტემპერატურა ჯავას (მდებარეობს 1040 მ მდ. ლიახვის დახრილ ხეობაში) ტემპერატურასთან შედარებით $0,5^{\circ}\text{C}$ -ით მაღალია, ამ შემთხვევაში ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი $0,2^{\circ}$ -ს შეადგენს. ზაფხულში ჰაერის ტემპერატურა სიმაღლის მიხედვით უფრო მნიშვნელოვნად უცემა, ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი $0,4-0,6^{\circ}$ -ია. მემოდგომა გაზაფხულზე უფრო თბილია.

ყინვები ზოებრიდან აპრილამდე, ყინვიან დღეთა რიცხვი რეგიონში საშუალოდ 157-ია. წაკლებნალექიანობით გამოირჩევა მდ. ლიახვის ხეობა. სიმაღლის ზრდასთან ერთად წალექების რაოდენობა მატულობს დაახლოებით 15 %-ით. წალექების მთავარი მაქსიმუმი მაის-ივნისშია, მეორე მაქსიმუმი კი ოქტომბერ-ნოემბერში. წალექიან დღეთა რიცხვი დაახლოებით 100-140-ია, რეგიონის ქვედა წაწილში ნისლი იშვიათდაა ($10-20$ დღე წელიწადში), შუა და ზემო წელში – იმატებს, ელჭექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 20-40-ია.

მზის წათების წლიური ხანგრძლივობა მრავალწლიური დაკვირვებების მიხედვით საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე საშუალოდ 2000 საათზე მეტს შეადგენს. საკვლევ რეგიონში, ქვემო წელში მცირე მონაკვეთზე, მზის წათების ხანგრძლივობა 2500 საათსაც კი აღემატება (სურ. 2).


ქარის სიჩქარე დამოუიდებულია რელიეფსა და სეზონზე. სიჩქარე მაქსიმალურია ზამთარში, ხოლო მინიმალური – ზაფხულში. რეგიონის ქვედა და ღია წაწილებში გაბატონებულია დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარი. მისი სიხშირე წლის განმავლობაში თითქმის თანაბარია. შუა და ზემო წაწილებში ჭარბობს ჩრდილოეთის ქარები. განსაკუთრებით ქარიანია მდ. ლიახვის ხეობა (3-5 მ/წმ) [5].

აღსანიშნავია, რომ ქარის საშუალო სიჩქარე შემცირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, წლის ყველა სეზონზე დაახლოებით 1-2 მ/წმ-ით. ყველაზე მნიშვნელოვანი კლება იმ რაიონებში (მთა საბუეთი, ფოთი) აღინიშნება, რომლებიც ქარის ენერგეტიკის განვითარებისთვის ყველაზე შერსპექტიულ ადგილებად ითვლება. ამავე დროს, საშუალო სიჩქარის შემცირების ფონზე, რიგ რაიონებში იზრდება მლიერქარიან დღეთა რიცხვი, რაც განპირობებული უნდა იყოს ასეთი დღეების გახშირებით განსაკუთრებით ბოლო 15-წლის განმავლობაში, რომელიც ყველაზე მეტად მტკვრის ხეობაშია (გორი, თბილისი) გამოკვეთილი [6].




სურ. 2. მზის ნათების ხანგრძლივობა [5]

ღრუბლიანობა რეგიონში საშუალოდ 55-60%-ია. დაბლობ რაიონებში (ქვედა ნაწილში) ღრუბლიანობა უფრო მეტია ზამთარში. სიმაღლის მარებელისთვის ერთად განსხვავება სეზონების მიხედვით თითქმის არაა. ყველაზე წაკლებლრუბლიანია მდობრივი ნეობა.




სურ. 3. ქარიან დღეთა რაოდენობა [5]

რაც შეეხება წილიანობას, წილიან დღეთა სამუალო წლიური რაოდენობა სიმაღლესთან ერთად მნიშვნელოვნად მატულობს, თუმცა ამ ვარონზომიერებიდან გარკვეული გადახრებიც გვხვდება. საკვლევ რეგიონში წილიან დღეთა რაოდენობა მოცემულია სურ. 4-ზე.



სურ. 4. ნისლიანი დღეების რაოდენობა [4]

მ. კორძახის მიერ შედგენილი ჰავის ტიპების მიხედვით (სურ. 5) რეგიონი ძირი-თადად მიეკუთვნება ზომიერად წოტიო ჰავის ოლქს, რომელშიც გამოიყოფა ჰავის 5 ტიპი. მცირე ტერიტორიაზე (ჩრდილო-დასავლეთით) შემოდის ზღვის სუბტროპიკული წოტიო ჰავის ოლქი (მოიცავს ჰავის ერთ ტიპს).



სურ. 5. პალის ტიპები [4].

თავი 3. პალეოს მეთოდოლოგია

3.1. მეთოდოლოგიის მოკლე დახსასისობა

ჰაერის ტემპერატურის (საშუალო, მინიმალური მაქსიმალური) და წალექების, 1950-2023 წწ დღიური მონაცემების ბაზა შეიქმნა E-OBS კოპერნიკუსის მონაცემთა ბაზების საშუალებით, რომელიც წარმოადგენს კოორდინატთა ბადეს. ეს მონაცემები ხელმისაწვდომია შემდეგი გეოგრაფიული კოორდინატთა ბაზების მქონე ტერიტორიების-თვის: ჩ.გ. 25° – ჩ.გ. 71.5° და დ.გ. 25° აღმ.გ. 45° . ცხინვალის ოკუპირებული ტერიტორია ზვდება ამ არეალში. კოპერნიკუსის ბაზებში მონაცემები წარმოდგენილია NetCDF-4 ფორმატში. მათი Excel-ში გადასაყვანად გამოყენებული იქნა Scientific DataSet Lite ბიბლიოთეკის გამოყენებით შექმნილი სპეციალური პროგრამა. ცინვალის რეგიონის თვის მიღებულია 108 პუნქტის თვის ყოველდღიური მონაცემები.

კლიმატური ინდექსების გაარნგარიშების თვის გამოყენებული იქნა R-ზე დაფუძნებული პროგრამული პაკეტი ClimPact2, რომელიც შექმნილია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) კლიმატის კომისიის სექტორული კლიმატური ინდექსების ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

დემიდან აღმოჩენია სიმაღლეები 0,05°-ზი დაშორების ბიჯით, რის შედეგადაც Cokriging ის ინტერპოლაციის გამოყენებით შედგა რუკები, სადაც ძირითად მონაცემად შევიდა ბადის სადგურების მონაცემები. ხოლო მეორე მონაცემად – სიმაღლეები. რუკები მომზადდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) გამოყენებით.

წერისმიერი ინტერპოლირებული მონაცემი საჭიროებს კალიბრირებას. მოპოვებული მონაცემების ვალიდაციის თვის ჩატარდა სტატისტიკური ანალიზი, რაც მოიცავს პირსონის კორელაციის კოეფიციენტს, საშუალო კვადრატულ გადახრას და სხვა პარამეტრებს, ასევე გამოყენებული იქნა ტეილორის დიაგრამები [18]. რომელიც უზრუნველყოფს „მოვლე სტატისტიკურ შეჯამებას იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ემთხვევა ნიმუშები ერთმანეთს მათი კორელაციის საშუალო კვადრატული სხვაობისა და მათი ვარიაციების თანაფარდობის თვალსაზრისით.“

ტეილორის დიაგრამები არის მათემატიკური დაგრამები, რომლებიც შექმნილია სისტემის, პროცესის ან მოვლენის ყველაზე რეალისტური გრაფიკულად წარმოდგენის თვის. ეს დიაგრამა ხელს უწყობს სხვადასხვა მოდელების შედარებით შეფასებას. იგი გამოიყენება მოდელირებულ და დაკვირვებულ მონაცემს შორის შესაბამისობის ხარისხის დასადგენად სამი სტატისტიკური პარამეტრის მიხედვით: პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, ფესვის საშუალო კვადრატული ცდომილება (RMSE) და სტანდარტული გადახრა.

აღნიშნული დიაგრამები შეიძლება აშენდეს სხვადასხვა ღია კოდის და კომერციული პროგრამული პაკეტებით, მათ შორის: Grads, IDL, MATLAB, NCL, Python, R და CDAT.

ტეილორის დიაგრამები აჩვენებს სტატისტიკას, რომელიც გამოსადეგია მოდელის მიერ სიმულირებული ცვლადის (უფრო ზოგადად, „ტესტის“ გელის) მსგავსების შესაფასებლად მის დაკვირვებად ცვლადთან. მათემატიკურად, ტეილორის დიაგრამაზე ნაჩვენები სტატისტიკის სამი პარამეტრი დაკვირვებულია შეცდომის გავრცელების ფორმულით. დიაგრამის ორგანზომილებიაზი სივრცის თითოეულ

წერტილის შეუძლია ერთდროულად წარმოადგინოს სტატისტიკის სამი განსხვავებული პარამეტრი (ანუ ცენტრირებული RMS სხვაობა, კორელაცია და სტანდარტული გადახრა), რომლებიც დაკავშირებულია შემდეგი ფორმულით:

$$E^2 = \sigma_x^2 + \sigma_y^2 - 2\sigma_x\sigma_y,$$

სადაც ρ არის კორელაციის კოეფიციენტი ტესტსა და საცნობარო ველებს შორის; E – ცენტრალური RMS სხვაობა ველებს შორის (პირველად ამოღებულ საშუალებებში წებისმიერი სხვაობით);

σ_x – მითითების და ტესტის ველების სტანდარტული გადახრებია, შესაბამისად.

დიაგრამის აგება (აზიმუტური კუთხის კოსინუსის მიერ მოცემული კორელაციის მიხედვით) ეფუძნება ზემოაღნიშნული განტოლების მსგავსებას და კოსინუსების კანონს: $c^2 = a^2 + b^2 - 2ab\cos\varphi$.

კლიმატის მონაცემების გასაანალიზებლად გამოყენებულია მან კენდალის ტესტი [14], რომელიც გამოიყენება დროის სერიის აღმავალი ან დაღმავალი ტენდენციის დასადგენად. ტესტი არ საჭიროებს მონაცემების ნორმალურ ან წრფივ განაწილებას. ანალიზისთვის საჭიროა მინიმუმ 20 წლიანი რიგი.

ამ ტესტისთვის ნულოვანი ჰიპოთეზა არის ტენდენციის არარსებობა, ხოლო ალტერნატიული ჰიპოთეზა კი ისაა, რომ არსებობს ტენდენცია ორმხრივ ტესტში, ან არის აღმავალი (ან დაღმავალი). დროის სერიებისთვის X_1, \dots, X_n, MK ტესტი იყენებს შემდეგ სტატისტიკას:

$$S = \sum_{j=1}^{n-1} \sum_{i=1}^j sign(x_j - x_i)$$

თუ $S > 0$, მაშინ დროის სერიები ბოლო დაკვირვებები უფრო დიდია, ვიდრე წინა. ხოლო პირიქით, დაღმავალია როდესაც $S < 0$. როდესაც $S = 0$, ტრენდი არაა.

მონაცემთა განაწილების გასაგებად ეფუძნულია პროცენტილების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მონაცემთა დიდ ნაკრებებთან, რადგან ის ნათლად აჩვენებს, თუ სად მდებარეობს მნიშვნელობების უმრავლესობა [19].

სტატისტიკაში, k -th პროცენტილი, ასევე ცნობილი როგორც პროცენტული ქულა ან ცენტილი, არის ქულა (მაგ., მონაცემთა წერტილი), რომლის ქვემოთ მცირდება აწყობილი ქულების მოცემული პროცენტი k სინშირის განაწილებაში („ექსკლუზიური“ განსაზღვრება) ან ქულა, რომელზეც ქვემოთ ცემა მოცემული პროცენტილი („ინკლუზიური“ განმარტება); ე.გ. ქულა k -ე პროცენტულში იქნება მის კომპლექტში ყველა ქულის დახლოებით $k\%-ზე$ მეტი.

პროცენტილები არის კვანტილების ტიპი, რომელიც მიღებულია 100 ჯგუფად დაყოფით. 25-ე პროცენტილი ასევე ცნობილია როგორც პირველი კვანტილი (Q1), 50-ე პროცენტილი, როგორც მედიანური ან მეორე კვანტილი (Q2), და 75-ე პროცენტილი, როგორც მესამე კვანტილი (Q3). მაგალითად, 50-ე პროცენტილი (მედიანა) არის ქულა, რომლის ქვემოთ (ან ზევით ან ქვემოთ, განსაზღვრებიდან გამომდინარე) განაწილების ქულების 50% გვხვდება.

მოცემული მონაცემთა ნაკრების მნიშვნელობების პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალის შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$P = (n/N) \times 100$$

სადაც N მნიშვნელობების რაოდენობაა მოწაცემთა წაკრებში, P – პროცენტილი და n – მოცემული მნიშვნელობის რიგითი რანგი (მოწაცემთა წაკრების მნიშვნელობები დალაგებულია უმცირესიდან უდიდესამდე).

3.2. კლიმატური ინდენსიები

კლიმატური მოვლენების ექსტრემალური გადახრების დასახასიათებლად კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის (IPCC) მიერ შემუშავებული იქნა კლიმატის ცვლილების 27 ძირითადი ინდექსი [10]. ნაშრომში, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოთვლილი იქნა შემდეგი კლიმატური ინდექსები:

ცხელი დღეების (TX90p) რაოდენობა – როდესაც მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 90 პროცენტილს.

ცივი დღეების (TX10p) რაოდენობა – როდესაც მაქსიმალური ტემპერატურა წაკლებია 10 პროცენტილზე.

თბილი დამეების (TN90p) რაოდენობა – როდესაც მინიმალური ტემპერატურა აღემატება 90 პროცენტილს.

ცივი დამეების (TN10p) რაოდენობა – როდესაც მინიმალური ტემპერატურა წაკლებია 10 პროცენტილზე.

ყინვიანი დღეების (ID) რაოდენობა – როდესაც მაქსიმალური ტემპერატურა წაკლებია 0°C -ზე.

წაყინვების (FD) რაოდენობა – როდესაც მინიმალური ტემპერატურა წაკლებია 0°C -ზე.

სითბური ტალღები (HW) – მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის განმარტებით, სითბური ტალღად ითვლება პერიოდი, როდესაც ხუთი თანმიმდევრული დღის განმავლობაში დღიური მაქსიმალური ტემპერატურა საშუალო მაქსიმალურ ტემპერატურას 5°C -ით აღემატება.

უნალექო პერიოდების (CDD) ხანგრძლივობა – პერიოდი, როდესაც წალექების რაოდენობა წაკლებია 1 მმ-ზე.

წალექების მარტივი დღიური ინდექსი (SDII) – 1 მმ-ზე მეტი წალექების ჯამის ფარდობა წალექიანი დღეების რაოდენობაზე.

დღედამური მაქსიმალური წალექების (Rx1D, Rx5D) ინდექსი – ერთ და ზედიზედ 5 დღეში მოსული მაქსიმალური წალექების რაოდენობა შესაბამისად.

R95pTOT – დღეების რაოდენობა, როდესაც წალექი აღემატება საბაზისო პერიოდის (1961-1990 წწ.) ყოველდღიური წალექების 95 პროცენტილს.

R99pTOT – დღეების რაოდენობა, როდესაც წალექი აღემატება საბაზისო პერიოდის ყოველდღიური წალექების 99 პროცენტილს.


3.3. მამოყენებული მონაცემები

ცხინვალის რეგიონში სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა შემდეგი მეტეოროდებურები და საგუშავოები: როვა, ყევსელთა, ქვემო როვა, ედისი, ერმანი, ვაწელი, ჯავა, პავლიანი, კეხვი, ვაწათი, ცხინვალი, ზნაური, ახალგორი (ლენინგორი), კორინთა, ღრომი (ცხრილი 1).

ცხრილი 1

დაკვირვების პუნქტი	დაკვირვების ტიპი	სიმაღლე, მ ზ.დ.	მოქმედების პერიოდი (გახსნა-დახურვა)
როვა	მეტეოროდებური	1795	1931-1959; 1989-1992
ყევსელთა	მეტეოროდებური	1750	1929-1963
ქვემო როვა	მეტეოროდებური	1400	1947-1957
ედისი	მეტეოროდებური	1970	1934-1948
ერმანი	მეტეოროდებური	2240	1942-1988
ვაწელი	წალექმზომი საგუშავო	1310	1957-1989
ჯავა	მეტეოროდებური	1109	1914-1987
პავლიანი	წალექმზომი საგუშავო	1320	1947-1992
კეხვი	წალექმზომი საგუშავო	895	1946-1990
ვაწათი	წალექმზომი საგუშავო	1020	1942-1944; 1946-1987
ცხინვალი	მეტეოროდებური	862	1917-1923; 1929-1991
ცხინვალი	მეტეოროდებური	862	1925-1929
ზნაური (ყორნისი)	მეტეოროდებური	820	1960-1989
კორინთა	წალექმზომი საგუშავო	908	1947-2006
ღრომი	მეტეოროდებური	800	1946-1991
ახალგორი	მეტეოროდებური	760	1940-1960; 1963-2004

წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია საკვლევ რეგიონში არსებული ყოველ-დღიური დაკვირვების მონაცემები შემდეგი სადგურებისთვის (სურ. 6): ცხინვალი, ახალგორი, ერმანი, კორინთა, ვაწელი, პავლიანი, კეხვი, ვაწათი [1] და E-OBS კომურნიკუსის მონაცემთა ბაზები [11]. სურ. 7-ზე ნაჩვენებია წერტილები, რომელთათვისაც მოხდა აღნიშნული ბაზებიდან მონაცემების აღება.



სურ. ნ. ცხინვალის რეგიონში არსებული მეტეოროლოგიური სადგურები და საკუშავოები


3.4. მონაცემების ვალიდურიბის

მონაცემთა ვალიდაცია არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მონაცემთა სიზუსტისა და თანმიმდევრულობის შემოწმებას. ვალიდაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაცემთა მთლიანობის შენარჩუნებაში და შეცდომების თავიდან აცილებაში. გვეხმარება დროულად გამოვლინდეს ის უზუსტობები, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საბოლოო აწალიზზე.

ჩვენს შემთხვევაში გვაქვს ცხინვალის რეგიონში 1990 წლამდე არსებული ხმელეთის მეტეოროლოგურების და 1961-2023 წწ E-OBS ბადის მონაცემები. კვლევის მიზანია საკვლევ რეგიონში კლიმატის ცვლილების შეფასება. ბოლო წლებში მხოლოდ E-OBS ბადის მონაცემები გვაქვს. იმის დასადგენად, რამდენად სანდო და ხარისხიანია E-OBS ბადის მონაცემები, ჩატარდა 1961-1990 წწ ხმელეთის სადგურებისა და E-OBS ბადის მონაცემების შედარება. სურ. 8-ზე მოცემულია ქ. ცხინვალში არსებული



სურ. 7. მაღის წერტილები, საიდანაც აღემულია მონაცემები




სურ. 8. ცონინვალის და ახლომდებარე მაღის წერტილის საშ. წლიური ტემპერატურები

მეტეოროსადგურის და ცხინვალთან ახლომდებარე ბადის წერტილიდან აღებული ჰა-ერის საშუალო ტემპერატურები.


როგორც ნახაზიდან ჩანს, ცხინვალის მეტეოროლოგიურ სადგურში დაფიქსი-რებული ტემპერატურები დაახლოებით 1.5° -ით აღემატება ბადის მონაცემებს. ხო-ლო ტემპერატურათა მსვლელობა ორივე შემთხვევაში ერთნაირია. რაოდენობრივი განსხვავება აისახება იმით, რომ სადგურის და ბადის მდებარეობა უმნიშვნელოდ, მაგრამ სიმაღლის მიხედვით 250 მ-ით განსხვავდება. მეტეოროსადგურის სიმაღლე ცხინვალში არის 862 მ, ბადის წერტილის – 1120 მ. ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი ამ შემთხვევაში გამოდის $0,6^{\circ}\text{C}$. რაც შეეხება სადგურსა და ბადის წერტილს შორის კორელაციას, ტემპერატურის მონაცემებისთვის ძალიან მაღალია და უდრის $0,99$ -ს, ხოლო ნალექებისთვის – $0,95$ -ია.

კორელაციის კოეფიციენტები სადგურის და ბადის მონაცემებს შორის მოცემუ-ლია ცხრილში 2.


ტეილორის დიაგრამამაც ასევე აჩვენა ამ პუნქტებს შორის ძალიან მაღალი კო-რელაცია (სურ. 9). შესაბამისად, E-OBS ბადის მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას კვლევებში და მათ საფუძველზე მიღებული შედეგები ჩაითვალოს სანდოდ. კორელაციური კვადრიტის საშუალებით აღდგენილი იქნა ქ-ცხინვალის ჰა-ერის სა-შუალო ტემპერატურების რიგი 1990-2023 წლებისთვის (დანართი 1).



სურ. 9. ტეილორის დიაგრამა (მ/ს ცხინვალი)



სურ. 10. ტეოლორის დიაგრამა (მ/ს კორინთა)



სურ. 11. ტეოლორის დიაგრამა (მ/ს ახალგორი)

ცხრილი 2


სადგური	წელი	მაღის წომერი	კორელაცია ნალექთან	კორელაცია საშ. ტემპერატურასთან
კორინთა	1952-1995	34	0.92	
პატარანი	1950-1965	58	0.71	
ვაწელი	1958-1985	66	0.81	
ვაწათი	1956-1986	42	0.92	
კეხვი	1950-1990	53	0.92	
ცხინვალი	1957-1990	41	0.95	0.99
სხალგორი	1955-2004	34	0.90	0.87

თავი 4. საკვლევ ტერიტორიაზე კლიმატის ელემენტების მრავალნლიური ცვლილების ტენდენციები


4.1. ჰაერის ათმოსფერული თემპერატურის მრავალწლიური ცვლილება

ცხინვალის რეგიონში ჰაერის ტემპერატურის მრავალწლიური ცვლილების ტენდენციის დასადგენად პუნქტები ისე შეიძლია, რომ მოყვავა რეგიონში არსებული ჰავის ყველა ტიპი. კლიმატის მონაცემების გასაანალიზებლად გამოყენებული იქნა მანკუნდალის ტესტი (სურ. 12-21). ბადეზე შერჩეული პუნქტების წომრები მოცემულია სურ. 7-ზე.

ჰავის ტიპი: ზომიერად წოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთარით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში (სურ. 12-13)




სურ. 12. ჰავის საშ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 41-ე პუნქტი)




სურ. 13. პარის საბ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მაღის 34-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ზომიერად ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში (სურ. 14-15)




სურ. 14. პარის საბ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მაღის 39-ე პუნქტი)




სურ. 15. ჰავარის საშ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 54-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ზომიერად წოტიო ჰავა ცივი ზამთრით და მოკლუ ზაფხულით, ნალექების მინიმუმით ზამთარში (სურ. 16-17)




სურ. 16. ჰავარის საშ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 47-ე პუნქტი)




სურ. 17. ჰაერის საბ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მაღას 55-ე პუნქტი)

ჰაერის ტემპერატურის ცვლილების გრაფიკით და სანგრძლივი გრილი ზაფხულით
(სურ. 18)




სურ. 18. ჰაერის საბ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მაღას 50-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: მოტიო ჰავა ციფრი ზამთარით და მოკლე ზაფხულით (სურ. 19-20)




სურ. 19. ჰავის საშ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 62-ე პუნქტი)



სურ. 20. ჰავის საშ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 75-ე პუნქტი)


ჰავის ტიპი: წოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრით და ზამთავითი თბილი ზაფხულით (სურ. 21)




სურ. 21. ჰავის საშ. ტემპერატურის ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 74-ე პუნქტი)

როგორც წარმოდგენილი გრაფიკებიდან ჩაპს, ჰავის ყველა ტიპში ადგილი აქვს ჰავის საშუალო წლიური ტემპერატურის მატების ტენდენციას, აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის მატება უფრო თვალსაჩინოა ჩრდილოეთში, სადაც არის მაღალმთიანი რელიეფი. აქ საშუალო წლიური ტემპერატურის მატება შეადგენს 1.5°C -ს, ხოლო სამხრეთით, დაბლობში, ეს ნაზრდი არის 0.7°C . საშუალო წლიური ტემპერატურის მატება რეგიონში საშუალოდ შეადგენს 1.1°C -ს. ქ.ცხინვალში ბადის მონაცემების მიხედვით ტემპერატურის მატება 1957-2023 წწ არის 0.5°C . რაც შესაბამისობაშია ცხინვალის აღდგენილი რიგით მიღებულ ცვლილებასთან (0.45°C).


საინტერესოა ჰავის საშუალო ტემპერატურის სეზონური ცვლილება. ანალიზისათვის გამოყენებული იქნა მან კანდელის ტესტები (სურ. 22-31).




სურ. 22. ჰაერის საშ. ტემპერატურის ცვლილება: სეზონების მიხედვით 1950-2023 წწ.
(მაღის 41-ე პუნქტი)




სურ. 23. ჰაერის საშ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (34-ე ვუნძური)




სურ. 24. ჰაერის საშ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (39-ე პუნქტი)




სურ. 25. ჰაერის საშ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (54-ე პუნქტი)




სურ. 26. ჰავარის სამ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (47-ე პუნქტი)




სურ. 27. ჰაერის საშ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (55-ე პუნქტი)




სურ. 28. ჰავრის სამ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (50-ე პუნქტი)



სურ. 29. ჰაერის საშ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (62-ე პუნქტი)



სურ. 30. ჰაერის საშ. ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (75-ე პუნქტი)




სურ. 31. ჰერის სას, ტემპერატურის ცვლილება სეზონების მიხედვით (74-ე პუნქტი)

გრაფიკებიდან ჩანს, რომ ჰერის საშუალო ტემპერატურის მატებას ადგილი აქვს მეტ-ნაკლებად ყველა სეზონში, მირითადად კი მატება ხდება ზაფხულში.


როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰერის საშუალო ტემპერატურის მატება უფრო მეტად გამოხატულია რეგიონის ჩრდილოეთით. ტემპერატურის ცვლილების სივრცული განაწილება თვალსაჩინოა რუკებზე (სურ. 32-34). რუკების შესადგენად სავ-ვლევი პერიოდი გაიყო 3 ოცწლიან პერიოდად. მათ კანდელის დიაგრამების მსგავსად, რუკებზეც ნათლად ჩანს, რომ ჩრდილოეთით ადგილი აქვს ტემპერატურის

მნიშვნელოვან მატებას. მაგალითთად, თუ 1961-1980 წწ პერიოდში ყელის ტბის ჩრდილოეთით მინიმალური ტემპერატურა -2°C საკმაო ფართობზე იყო წარმოდგენილი, 1981-2000 წწ ეს ტერიტორია შემცირდა, ხოლო 2001-2023 წწ ამ ტერიტორიაზე უკვე 0°C -ია. რაც შეეხება დადგებით ტემპერატურებს, აქ სამივე პერიოდში 11°C ნარჩუნდება, მხოლოდ ადგილი აქვს კლიმატური ზონების აწევას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტროპიკები ჩრდილოეთისკენ ფართოვდება. ანალოგიური მდგომარეობაა ჰაერის მინიმალური (სურ. 35-37) და მაქსიმალური (სურ. 38-40) ტემპერატურების შემთხვევაშიც.


სხვადასხვა კვლევების მიხედვით ყოველ პარტნერულში (როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით) ტროპიკების საზღვრები განედის მიხედვით დაახლოებით 0.2-0.3 გრადუსით გადაადგილდება [13]. ცხინვალის რეგიონში ჩვენი კვლევებით ბუნებრივი ზონების ჩრდილოეთით გადაადგილება საშუალოდ 0.04 გრადუსია.




Աղյուսակ 32. Յայրաց Սահմանադրության 1961-1980 թվականներին պատճենաբառ և պատճենագործությունը




სურ. 33. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 1981-2000 წწ.




სურ. 34. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 2001-2023 წწ.




სურ. 35, ჰაერის მინიმალური ტემპერატურა 1961-1980 წწ.




სურ. 36. ჰაერის მინიმალური ტემპერატურა 1981-2000 წწ.




სურ. 37. ჰაერის მინიმალური ტემპერატურა 2001-2023 წწ.



სურ. 38. ჰერის მაქსიმალური ტემპერატურა 1961-1980 წწ.



სურ. 39. ჰაურის მაქსიმალური ტემპერატურა 1981-2000 წწ.



სურ. 40. პარენტ მაქსიმალური ტემპერატურა 2001-2023 წწ.

მათ კენდალის ტესტების და რუკების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ცხინვალის რეგიონში ადგილი აქვს ტემპერატურის მატებას, რომელიც მომავალში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება. ტემპერატურის მატება უარყოფითად აისახება როგორც გარემოზე, ისე სოციალურ სფეროზე.

4.2. სითბური მაღლები

კლიმატის ცვლილების შედეგად იმატებს არამარტო მზიანი დღეების რაოდენობა, არამედ ცხელი დღეების და ღამეების რაოდენობაც. მაღალ ტემპერატურასთან ხანგრძლივმა კონტაქტმა შეიძლება მრავალი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს – მაგალითად, დააზიანოს მოსავალი, გაზარდოს ტყის ხანძრების რისკი, გამოიწვიოს საქონლის სიკვდილი და სხვ. გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული ისითბური ტალღები ადამიანის ჯანმრთელობაზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს და ეს ზემოქმედება მზიარდია.

როდესაც ღამის ტემპერატურა საშუალო ტემპერატურაზე მაღალი რჩება, ეს ადამიანის ორგანიზმს თერმორეგულაციის საშუალებას არ აძლევს. როცა სითბური ტალღების ზემოქმედება დიდი ხნით ნაჩრიუნდება, ორგანიზმი თანდათან იფიტება იმის გამო, რომ მუდმივად უწევს ადაპტაცია და შეგუება ამ პირობებთან. თუ ღამის ტემპერატურა აჭარბებს 22-24°C, დღის ტემპერატურა კი ბევრად მაღალია 32-34 გრადუსზე, ორგანიზმი თავის მუნებრივ ტემპერატურას ვერ უბრუნდება. ეს განსაკუთრებით რთულად გადასატანა ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის, ორსული ქალებისა და ქრონიკული დაავადებების მქონეთათვის.

ცხინვალის რეგიონისთვის დაითვალა სითბური ტალღების რაოდენობა. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მიხედით სითბური ტალღებად (ექსტრემალურ სიცხედ) ითვლება ის პერიოდი, როდესაც ზედიზედ 5 დღის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა 5 და მეტი გრადუსით აჭარბებს საშ. მაქსიმალურ ტემპერატურას, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია 1961-1990 წლების წორმალურ პერიოდად მიიჩნევს. ამიტომ, საკვლევი პერიოდი დაიყო ორ 30 წლიან პერიოდად: 1961-1990 წწ. და 1991-2023 წწ.

საკვლევი რეგიონისთვის ბაზეზე არსებული პუნქტებისთვის გამოითვალიაზაფხულის თვეების მაქსიმალური ტემპერატურების საშუალო მრავალწლიურები. მაგალითისთვის, ქ. ცხინვალისთვის მან შეადგინა 25,7°C. სითბური ტალღების (ექსტრემალურად ცხელ) დღეთა რაოდენობა მოცემულია ცხრ. 3-ში. როგორც ცხრილიდან ჩანს, ასეთი დღეები 1961-1990 წლებში უმნიშვნელო რაოდენობითაა. რაც შეეხმა მეორე პერიოდს, 1991-2023 წწ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნადაა მომატებული.

ცხრილი 3. ექსტრემალურად ცხელ დღეთა რაოდენობა


ბადის წერტილის ნომერი	ზაფხულის (ივლისი-აგვისტო) საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	ექსტრემალურად ცხელ დღეთა რაოდენობა	
		1961-1990 წწ.	1991-2023 წწ.
20	27.56587	1	18
21	26.91354	1	21
22	26.4538	2	21
23	26.23718	2	22
28	26.90431	1	15
29	27.45727	1	15
30	27.5514	1	14
31	26.62489	2	16
32	25.03876	1	21
33	24.27663	2	22

34	24.90133	1	21
35	23.9246	2	21
38	24.02568	2	14
39	25.31228	3	13
40	25.23006	1	13
41	25.72286	0	13
42	25.75789	0	15
43	23.16023	1	22
44	22.96811	2	23
45	21.97644	2	22
46	23.49887	1	22
47	21.90336	3	21
50	23.74767	2	17
51	22.32422	3	25
52	22.46325	2	24
53	23.99515	1	21
54	22.30323	2	21
55	20.60626	6	24
56	20.25838	7	21
57	19.30595	6	25
58	21.8165	4	20
59	20.38971	10	18
62	20.10948	1	27
63	20.26669	1	28
64	21.34224	2	26
65	20.72356	2	25
66	19.97121	2	25
67	15.55742	2	37
68	15.85568	2	37
69	14.48645	1	40
70	19.26685	5	20
74	20.86512	1	27
75	17.50489	0	35
76	15.01541	0	41
77	14.10301	0	40
78	18.46516	3	32
79	18.77883	3	26
80	14.99526	1	37
81	12.40967	1	37
86	16.91003	0	36
87	15.03074	0	39


4.3. Անհաղթ գործություն

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის განმარტებით, ცხელი დღე ეწოდება დღეს, როდესაც დღიური მაქსიმალური ტემპერატურა აღვემატება 30°C -ს.


საკვლეულები რეგიონში ცხელი დღეების რაოდენობა 2001 წლიდან საგრძნობლად იმატებს. თუ პირველ პერიოდში (1961-1980 წწ.) ასეთი მხოლოდ 16 დღე იყო, მეორეში (1981-2000 წწ.) – თვრამეტი, მესამე პერიოდში (2001-2023 წწ.) უკვე 35-ია (სურ. 41-43). რუკებზე ცხელი დღეების რაოდენობის სივრცული განაწილება აჩვენებს, რომ ცხელი დღეების რაოდენობა ძირითადად რეგიონის სამხრეთ, დაბალმთიან წაწილში იმატებს. ადგილი აქვს კლიმატური ზონების აწევას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ სამუალოდ 0,04 გრადუსით.



Աղյօթ 41. Յեղանու գուցչին 1961-1980 թթ.



სურ. 42. ცხელი დღეები 1981-2000 წწ.



სურ. 43. ცხელი დღეები 2001-2023 წწ.


4.4. მრიობის კულტურული დამხები

გლობალური დათბობის შედეგად დღის ტემპერატურასთან ერთად, მოიმატა და-მის ტემპერატურებმაც, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის განმარტებით [10], როდესაც დღის განმავლობაში (დამის საათების ჩათვლით) ჰაერის მინიმალური ტემპერატურა არ ჩამოდის 20°C -ზე დაბლა, მას ტროპიკული დამე ეწოდება. ასეთი თბილი დამები ხშირად ზაფხულში დღის განმავლობაში არსებულ მაღალ ტემპერატურებთანაა (ცხელი დღე) დაკავშირებული. სხვადასხვა ქვეყნებში ქვედა ზღვრად სხვადასხვა ტემპერატურა მიიჩნევა. მაგ. ევროპის უმეტეს ქვეყნებში ეს ზღვარი 20°C -ია, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 27°C . ჩვენს შემთხვევაში ზღვრად აღებულია 20°C .


ცხინვალის რეგიონისთვის 60 წლიანი პერიოდი დაიყო სამ ოცწლიან პერიოდებად და შედგა ტროპიკული დამების რუკები (სურ. 44-46). როგორც რუკებიდან ჩანს, პირველ ორ პერიოდში, 1961-1980 და 1981-2000 წლებში დამების რაოდენობა, რო-

დესაც ჰაერის ტემპერატურა 20°C -ზე დაბლა არ ჩამოდიოდა შეადგენდა 1,8 დღეს. მე-სამე პერიოდში, 2001-2023 წლებში უმნიშვნელოდ, მაგრამ აქვს მატების ტენდენცია და აღწევს 4,5 დღეს.


ტროპიკული ღამეები უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.



სურ. 44. ტროპიკული ღამეები 1961-1980 წწ.



სურ. 45. ტროპიკული ღამეები 1981-2000 წწ.



სურ. 46. ტროპიკული ღამეები 2001-2023 წწ.

4.5. ნაყინვების და ყინვიანი დღეების მრავალწლიური ცვლილების თანდენზე


წაყინვებს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ჰაერის დღიური მინიმალური ტემპერატურა 0°C -ზე დაბალია. ხოლო, როდესაც ჰაერის დღიური მაქსიმალური ტემპერატურა 0°C -ზე დაბალი, ამ შემთხვევაში გვაქვს ყინვიანი დღე [10]. წაყინვებს ადგილი აქვს ღამით, ამიტომ მას ღამის წაყინვებსაც უწოდებენ.

ცხინვალის რეგიონში წაყინვების და ყინვიანი დღეების მრავალწლიური ცვლილების ტენდენციის დასადგენად რეგიონში არსებულ ჰავის სხვადასხვა ტიპებში შეირჩა პუნქტები. მონაცემების გასაარალიზებლად გამოყენებული იქნა მან კვერდალის ტესტი. პუნქტები შეირჩა რეგიონში არსებულ ყველა ჰავის ტიპში, მათი ნომრები მოცემულია სურ. 7-ზე.


მან კვერდალის ტესტი აჩვენებს (სურ. 47-56), რომ რეგიონში წაყინვებს შემცირების ტენდენცია აქვს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ზემოთ აღწერილ ჰაერის ტემპერატურების მრავალწლიური ცვლილების ტენდენციებში (სურ. 35-37) მინიმალურ-

მა ტემპერატურებმა მატების ტენდენცია გამოავლინა. შესაბამისად, უფრო იშვიათი ხდება დღიური მინიმალური ტემპერატურის 0°C -ზე დაბლა დაცემა.

ჰავის ტიპი: ზომიერად წოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით, მაღლექების ორი მინიმუმით წელიწადში (სურ. 47-48).




სურ. 47. წყონვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მადის 41-ე პუნქტი)




სურ. 48. წყონვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მადის 34-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ზომიერად წოტიო ჰავა ციფი ზამთრით და საშვერძლივი გრილი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში (სურ. 49-50)




სურ. 49. წაყინვემის ტენდენცია 1950-2023 წწ. (მადის 39-ე პუნქტი)




სურ. 50. წაყინვემის ტენდენცია 1950-2023 წწ. (მადის 54-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ზომიერად წოტილ ჰავა ცივი ზამთარით და მოცლუ ზაფხულით, ნალექების მინიმუმით ზამთარში (სურ. 51-52)




სურ. 51. წაყინვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მაღის 47-ე პუნქტი)




სურ. 52. წაყინვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მაღის 55-ე პუნქტი)

მავის ტიპი: მოტიო ჰავა ციფრი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით (სურ. 53)




სურ. 53. წაყინვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მადის 50-ე პუნქტი)

მავის ტიპი: მოტიო ჰავა ციფრი ზამთრით და მოკლე ზაფხულით (სურ. 54-55)




სურ. 54. წაყინვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მადის 62-ე პუნქტი)




სურ. 55. წაყინვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მაღის 75-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ნოტიო ჰავა: ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით (სურ. 56)




სურ. 56. წაყინვების ტენდენცია 1950-2023 წწ. (მაღის 74-ე პუნქტი)


წაყინვების ცელილების სივრცული განაწილების საჩვენებლად შედგა რუკები (სურ. 57-59). მათი ანალიზი აჩვენებს, რომ წაყინვების რაოდენობა რეგიონის მთელ ტერიტორიაზე იკლებს.



Առշ. 57. Բայոնօգնություն 1961-1980 թթ.




სურ. 58. წაყინვები 1981-2000 წწ.





სურ. 59. წაყინვები 2001-2023 წწ.

ყინვიანი დღეების რაოდენობა და მისი სივრცული ცვლილება მოცემულია რუკებზე (სურ. 60-62).



სურ. 60. ყინვიანი დღეების რაოდენობა 1961-1980 წწ.





სურ. 62. ყინვიანი დღეების რაოდენობა 2001-2023 წწ.

რუკების ანალიზიდან ჩანს, რომ ყინვიანი დღეების რაოდენობაც, ღამის წაყინვების მსგავსად იკლებს. ეს კლება განსაკუთრებით თვალსაჩინოა რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში.


4.6. მემპერატურის კლიმატური ინდექსები

ტემპერატურის კლიმატური ინდექსები მოცემულია დაწართი 2-ში, ასევე აგებულია გრაფიკები (სურ. 63-66). ეს ინდექსები აჩვენებს, თუ სად მდებარეობს გამორჩეულად თბილი ან ცივი ადგილი ბადეზე მოცემულ მონაცემთა მასივში.

გამოთვლილი ტემპერატურის კლიმატური ინდექსები უჩვენებს, რეგიონში გამორჩეულად თბილი ან ცივი ადგილის მდებარეობას, მაქსიმალური ტემპერატურის TX10p (როდესაც ტემპერატურა წაკლებია საბაზისო პერიოდის 10 პროცენტილზე), უფრო რეგიონის შუა ტერიტორიაზე წაწილდება. TX90p (როდესაც ტემპერატურა

აღემატება საბაზისო პერიოდის 90 პროცენტილს), მდებარეობს ბადის უფრო ზემოთ მდებარე წერტილებზე.


მინიმალური ტემპერატურის შემთხვევაში კი პირიქით ხდება: TN10p უფრო ზე-და წერტილებზე განაწილებული და TN90p ქვედა ნაწილში. წაყინვიანი დღეების პროცენტილები უჩვენებს, რომ ასეთი დღეების უმეტესი რაოდენობა ზედა წერტი-ლებზე (ბადის წერტილები: 68, 77, 81) განაწილებული. მსგავსი განაწილების სურა-თია ყინვიანიდღეთა პროცენტილების შემთხვევაშიც (ბადის წერტილები: 66, 68, 77, 86). ტემპერატურის განაწილებას არაერთგვაროვანი ხასიათი აქვს: გამოიყოფა ლოკა-ლური და თბობის/აცივების ცენტრები, რაც ძირითადად რელიეფის არაერთგვაროვ-ნებითაა განპირობებული.




სურ. ნ3. მაქსიმალური ტემპერატურის TX10p-TX90p კლიმატური ინდიკატორი რეგიონის წერტილებისთვის



სურ. ნ4. წაყინვების დღეთა რიცხვი რეგიონის წერტილებისთვის



სურ. 65. ყინვიან დღეთა რიცხვი რეგიონის წერტილებისთვის

სურ. 66. მინიმალური ტემპერატურის ($TN10p$, $TN90p$) კლიმატური ინდექსები

როგორც განაწილების სურათებიდან ჩანს, რეგიონში თბილი და ცივი ღამეების რაოდენობის ცვლილება ფიქსირდება.


თავი 5. საკვლევ ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების მრავალნლიური ცვლილების ტენდენციები

5.1. ნალექების ცვლილება


ნალექების განაწილება სიმაღლის მიხედვით, ტემპერატურისგან განსხვავებით, არაა პირდაპირ კავშირში ადგილის სიმაღლესთან. ნალექებიანობა სიმაღლის მიხედვით ყველგან არ მატულობს, პირიქით, ზოგან კიდეც მცირდება. რთული ოროგრაფიული პირობებისა და გამატონებული ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების სირთულის გამო, ნალექების შიგაწილიური განაწილება თავისებურია. ატმოსფეროს ცირკულაციის, რადიაციისა და ოროგრაფიული ფაქტორების ერთობლივი მოქმედება განსაზღვრავს ტერიტორიის ტენიანობის საკმაოდ დიდ კონტრასტებს. ამიტომ, საკვლევ რეგიონში ნალექების ცვლილების გასაანალიზებლად გამოყენებული იქნა: მან კენდალის ტესტი, რუკები, ნალექების დღიური ინტენსივობის მარტივი ინდექსები, სხვადასხვა ხანგრძლივობის უნალექო პერიოდების რუკები და სხვ.

ცნობვალის რეგიონში ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ცვლილების ტენდენციის დასადგენად ბადის პუნქტები ისე შეირჩა, რომ მოიცვა რეგიონში არსებული ჰავის ყველა ტიპი. ცვლილება შეფასდა მან კენდალის ტესტით 1950-2023 წლებში პერიოდისთვის (სურ. 67-75), უნალექო პერიოდისთვის (სურ. 76-85). შერჩეული პუნქტების წომრები იდენტიფიკირდისათვის მოცემულია სურ. 7-ზე. როგორც წარმოდგენილი გრაფიკებიდან ჩანს, ატმოსფერული ნალექები ძირითადად იკლებს, მატება ფიქსირდება მხოლოდ ცნობვალ-ახალშენი-ოქონას რაონში. რაც შეეხება უნალექო დღეების რაოდენობას, ამავე რაიონში იკლებს, სხვაგან მატების ტენდენციაა. ანუ, სადაც ნალექები იკლებს, უნალექო დღეები იმატებს და პირიქით.

ჰავის ტიპი: ზომიერად წოტით ჰავა ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით, ნაღვექების ორი მინიმუმით წელიწადში (სურ. 67-68)




სურ. 67. ნაღვექების ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 4I-ე პუნქტი)




სურ. 68. ნაღვექების ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 34-ე პუნქტი)

პარის ტიპი: ზომიერად წოტიო ჰავა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმითა წელიწადში (სურ. 69-70)




სურ. 69. ნალექების ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 39-ე პუნქტი)




სურ. 70. ნალექების ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 54-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ზომიერად წოტილ ჰავა ცივი ზამთარით და მოკლე ზაფხულით,
ნალექების მინიმუმით ზამთარში (სურ. 71-72)




სურ. 71. ნალექების ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 47-ე პუნქტი)




სურ. 72. ნალექების ცვლილება 1950-2023 წწ. (მადის 55-ე პუნქტი)

პავის ტიპი: მოტიო ჰავა ციფრი ზამთარით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით (სურ. 73)




სურ. 73. ნალექების ცვლილება 1950-2023 წწ. (ბადის 50-ე პუნქტი)

პავის ტიპი: მოტიო ჰავა ციფრი ზამთარით და მოკლე ზაფხულით (სურ. 74, 75)




სურ. 74. ნალექების ცვლილება 1950-2023 წწ. (ბადის 62-ე პუნქტი)




სურ. 75. ნალექების დოლოლება 1950-2023 წწ. (მადის 75-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ნოტიო ჰავა. ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით (სურ. 76)




სურ. 76. ნალექების დოლოლება 1950-2023 წწ. (მადის 74-ე პუნქტი)





სურ. 77. უნალექო დღეები 1950-2023 წწ. (მადის 34-ე პუნქტი)

პავის ტიპი: ზომიერად წოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთარით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში (სურ. 77, 78)




სურ. 78. უნალექო დღეები 1950-2023 წწ. (მადის 41-ე პუნქტი)


ჰავის ტიპი: ზომიერად წოტილ ჰავა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით, ნაღუქების ორი მინიმუმით წელიწადში (სურ. 79, 80)



პავის ტიპი: ზომიერად წოტიო პავი ზამთრით და მოკლე ზაფხულით,
ნაღუძების მიწიმუმით ზამთარში (სურ. 81, 82)




სურ. 81. უნალექო დღეები 1950-2023 წწ. (მადის 47-ე პუნქტი)




სურ. 82. უნალექო დღეები 1950-2023 წწ. (მადის 55-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ნოტიო ჰავა ციფი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით (სურ. 83)




სურ. 83. უნალექი დღეები 1950-2023 წწ. (ბადის 50-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ნოტიო ჰავა ციფი ზამთრით და მოკლე ზაფხულით (სურ. 84, 85)




სურ. 84. უნალექი დღეები 1950-2023 წწ. (ბადის 62-ე პუნქტი)




სურ. 85. უნალექო დღეები 1950-2023 წწ. (მადის 75-ე პუნქტი)

ჰავის ტიპი: ნოტიკო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით (სურ. 86)




სურ. 86. უნალექო დღეები 1950-2023 წწ. (მადის 74-ე პუნქტი)


